ამონაწერი
პროფესიული განათლების მასწავლებლის და
საწვრთნელი კურსების ინსტრუქტორების
თანმდებობრივი ინსტრუქციიდან

Job description for the Vocational Education Teachers and Instructors

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო
საინჟინრო სასწავლებელი ანრის
დირექტორი
_____ ა.დიასამიძე

საფუძველი:
2025 წლის 08 სექტემბრის სენატის
დადგენილება, ოქმი N10

პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია

ძირითადი დებულება

პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია ვრცელდება შპს ბუსსს ანრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების განმახორციელებლებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა კანდიდატურებს არჩევს ადამიანური რესურსების მენეჯერი პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით და წარუდგენენ დირექტორს.

პროფესიული განათლების მასწაველებელს ნიშნავს და ათავისუფლებს ბუსსს ანრის დირექტორი, პირადი განცხადების საფუძველზე;

ბუსსს ანრი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო პროცესში მონაწილეობის და ამ პროცესის წარმართვის მიზნით; პროფესიული განათლების მასწავლებლის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიული განათლების მასწავლებლის საჭირო კომპეტენციები და უნარები:

1) ფლობს დარგის შესაბამის კვალიფიკაციას და კომპეტენციას;
2) ფლობს ინფორმაციას პროფესიული განათლების სისტემის შესახებ და აქვს უნარი საჭიროების შემთხვევაში მოკლედ და გასაგებად მიაწოდოს ვიზიტორს ინფორმაცია დარგის უპირატესობების შესახებ;
3) ფლობს ბაზისურ ინფორმაციას შესაბამისი პროფესიული პროგრამისა და მოდულების შესახებ;
4) ფლობს ინფორმაციას სასწავლებელში ჩარიცხვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ;
5) ფლობს ინფორმაციას მარეგულირებელი ბაზის შესახებ;
6) გააჩნია ინფორმაციის მიწოდების და პიროვნების მოტივირების უნარი;
7) ფლობს სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან ურთიერთობის უნარს;
8) შეუძლია კონფლიქტების თავიდან აცილება და გააჩნია მათი დარეგულირების უნარი;
9) საჭიროების შემთხვევაში ფლობს შშმ და სსსმ პირთათვის ინდივიდულაური პროგრამით მომსახურების უნარს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია:

1) მაღალ დონეზე შეასრულოს სასწავლო და მეთოდური სამუშაო;
2) სრულყოს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება;

3) ხელმძღვანელობა გაუწიოს პროფესიულ სტუდენტთა დამოუკიდებელ სწავლებას;
4) სისტემატურად აწარმოოს სავალდებულო მეცადინეობაზე პროფესიულ სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა;
5) აამაღლოს მომთხოვნელობა პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში;
6) იზრუნოს პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის დონის ამაღლებისათვის, სანიმუშო დისციპლინისა და პროფესიულ სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის განვითარებისათვის;
7) დაიცვას სასწავლო დისციპლინა, ეთიკის კოდექსი და შინაგანაწესი;
8) დროულად და ზუსტად შეასრულოს ადმინისტრაციის განკარგულებანი;
9) დროულად გამოცხადდეს სამუშაოზე, ზუსტად დაიცვან სამუშაო დღის დადგენილი რეჟიმი;
10) გაუფრთხილდეს და დაიცვას სასწავლებლის ქონება;
11) დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკა, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესები. წესრიგში იქონიოს სამუშაო ადგილი;
12) ჩაატაროს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;
13) პირნათლად შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
14) მიიღოს მონაწილეობა იმ ღონისძიებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიულ სტუდენტთა სწავლების დონის ამაღლებას;
15) გააჩნდეს თავისი მოდულის რიდერი. (საჭიროების შემთხვევაში)
16) შეაფასოს პროფესიული სტუდენტის ცოდნა სამართლიანად.

პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხიმგებელია:

1) მასზე დაკისრებული მოვალეობების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;
2) თავისი ცოდნის დონის მუდმივ გაუმჯობესებაზე;
3) სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე;
4) კონფიდენციალურობის დაცვაზე.

პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია:

1) მიიღოს მის მიერ დადებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;
2) გარეშე პირის ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება;
3) პროფესიულ მასწავლებელს უფლება აქვს ბუსსს ანრის დირექტორთან შეთანხმებით არასასწავლო დროს ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულოს სამუშაო შესაბამისი ანაზღაურებით.

პროფესიული განათლების მასწავლებელს ეკრძალება:

1) სასწავლო ცხრილების თვითნებური შეცვლა;
2) ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების მინდობა სხვა პირებისათვის პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსთან და/ან სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეუთანხმებლად.